ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 323

"12" ივლისი 2024 წ.

ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ ხელშეკრულებებით განსაზღვრული სარგებლობის საფასურის ოდენობის გადახედვის მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 17 ივნისის №24.1068.1209 განკარგულებით გათვალისწინებული საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ზ" ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი" 398-ე მუხლის 1-ლი და მე-3 ნაწილების, ასევე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-78 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის" დანართი 2-ის დანართით განსაზღვრული სარგებლობის პირობების მე-6 პუნქტის, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ ხელშეკრულებებით განსაზღვრული სარგებლობის საფასურის ოდენობის გადახედვის მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 17 ივნისის №24.1068.1209 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს მიენიჭოს უფლებამოსილება შეიტანოს ცვლილებები „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ ხელშეკრულებებით განსაზღვრული სარგებლობის საფასურის ოდენობის გადახედვის მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 17 ივნისის №24.1068.1209 განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრულ ხელშეკრულებებში და გაზარდოს სარგებლობის საფასური, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს მიერ მომზადებული დასკვნის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე